MES 9 23 0000447905

24/04/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 06.04.2023
სხდომის დაწყების დრო: 12:14 სთ
სხდომის დასრულების დრო: 14: 32
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 272-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, დისტანციური ფორმით საბჭოს მუშაობის პროცესში მონაწილეობის მიღებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი- საბჭოს მდივანი;
4. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
5. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
6. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
8. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;

9. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
10. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
13. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
14. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
15. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თინათინ ბაჯელიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
	ნანა მიქავა	

3		უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	I , II
2	ხათუნა მხეიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	I , II
3	ნონა ოთხოზორია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, „მართვის სისტემების, ავტომატიზაციის და ტესტ-ინჟინერინგის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	I, II
4	თინათინ კაიშაური	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ნფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	I, II

5	ქეთევან კოტრიკაძე	ს ს ი პ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მართვის სისტემებისა და ავტომატიზაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი	I, II
6	ზ ა ა ლ აზმაიფარაშვილი	ს ს ი პ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მიკროპროცესორული და საზომი სისტემების დეპარტამენტის ხელმძღვანელი	I, II
7	ბესარიონ შანშიაშვილი	ს ს ი პ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„მართვის სისტემების, ავტომატიზაციის და ტესტ-ინჟინერინგის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
8	მაია გურგენიძე	შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში	რექტორი	III
9	ლ ა შ ა მარკოზაშვილი	შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში	ვიცე-რექტორი, პოლიტიკის მეცნიერების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	III
10	ა ნ ა გვრიტიშვილი	შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში	კონსულტანტი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით	III
11	ა ნ ი დემეტრაშვილი	შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	III

12	თამარ კეკენაძე	შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში	კვლევებისა და პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელი.	III

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I , II
2	გიგა ხოსიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I , II
3	მარიამი ალექსიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	დავით კაკიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II

6	გვანცა აბდალაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	ივანნა მაჩიტიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	სოსო გაზდელიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 12:14 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში "პოლიტიკის მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში "პოლიტიკის მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი/ Control Systems, Automation and Test-Engineering
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№331110 , 06/04/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	

6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის და მართვის სისტემების ინჟინერიის დოქტორი / PhD in Instrumentation, Automation and Control Systems
10	ზოგადი განათლების შესაბამისი ს ა ფ ე ხ უ რ ი ს საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია/Electronics and Automation
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. N 77, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-6 სასწავლო კორპუსი, 0160, საქართველო

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა მარინე მაისურაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ავთანდილ თავხელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს თავმჯდომარეობდა უცხოელი ექსპერტი, რომელიც ვერ ესწრება ზეპირ განხილვას. ექსპერტის განმარტებით, შესაფასებელი პროგრამა პირობით აკრედიტებულია. ასევე, აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტმა კონსტრუქციულ გარემოში ჩაიარა, ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შეამოწმა პროგრამის განხორციელების ადგილი და წარმოდგენილი დოკუმენტაცია. პირველი რეკომენდაცია ეხება ტერმინოლოგიურ განსხვავებას ქართულ და საერთაშორისო ტერმინებს შორის. იგი ფორმულირებულია შემდეგი სახით : დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებიდან უნდა ამოიღოს ფრაზა „ტესტ-ინჟინერინგი“. ის უნდა ჩანაცვლდეს, მეტროლოგიასთან დაკავშირებული ტერმინით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიგა ხოსიტაშვილმა დააზუსტა, რომ პირველი რეკომენდაცია ეხებოდა ტერმინოლოგიურ ცვლილებას, აღნიშნული რეკომენდაციის ჩამოყალიბების ინიციატივა უცხოელმა ექსპერტმა გამოხატა. ასევე, მისი მხრიდან რეკომენდაცია გაიცა პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, კერძოდ მიზანშეწონილად ჩათვალეს პროგრამის შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულიყო ინგლისურ ენაზეც, მათზე წვდომის გამარტივების მიზნით. ასევე, რეკომენდაცია გაიცა სადისერტაციო ნაშრომებში აკადემიური სტილის დაცვასთან დაკავშირებით, კერძოდ, ექსპერტთა აზრით, ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ციტირების სწორ მეთოდებს. ექსპერტის განმარტებით, რამდენიმე ნაშრომში აღმოაჩინეს აკადემიური სტილის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემა. რაც შეეხება რჩევებს, ისინი უფრო ვრცელია, წარმოდგენილია ისეთი საკითხები რომელთა კატეგორიული

შესრულების აუცილებლობაც არ იყო. აღნიშნული რეკომენდაციებიდან დაწესებულება დაეთანხმა პირველ ორ რეკომენდაციას. მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადეს რომ დაწესებულებაში არსებობს აკადემიური სტილის ინსტრუქცია, რომელიც ეგზავნებათ სტუდენტებს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ეს რეკომენდაცია უცვლელი დატოვა, რადგან ჩათვალეს, რომ დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ეს კომუნიკაცია მეტად გაძლიეროს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, დავით მახვილაძე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. აღნიშნა, რომ დასკვნა ცალსახად არის ობიექტური. გარკვეული შეუსაბამობები , რომლებიც მათ შორის რჩევებშიც არის ასახული, გამომდინარეობს, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობასა და დამოკიდებულებებს შორის განსხვავებებიდან. რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, რომელიც ეხება ტერმინოლოგიურ ცვლილებას, ამ საკითხზე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მსჯელობს. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ამ ნაწილში პრობლემა არ იქმნება ამ მითითებას დიდი ალბათობით, გაითვალისწინებენ. თუმცა, ელოდებიან სპეციალისტების უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებას. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, რომელიც ეხება პროგრამასთან დაკავშირებული ინგლისურენოვანი ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი ავტორიზაციის მზადებისა და რებრენდინგის პროცესშია, რომელიც დასრულების ეტაპზეა. შეიქმნა ტექნიკური უნივერსიტეტის ახლი ვებ-გვერდი, რომელზეც ეტაპობრივად იტვირთება ინფორმაცია. ძველ ვებ-გვერდზე მოცემული ინფორმაციები არ ფარავდა დაინტერესებული მხარის ინტერესებს, შესაბამისად შეიქმნა ახალი გვერდი. ეს რეკომენდაცია დაწესებულებისთვის მისაღებია და პროცესიც მიმდინარეობს. რაც შეეხება მესამე რეკომენდაციას, უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობს გაფორმებისა და ციტირების წესი იყოს დაცული. ეს არ ატარებს საყოველთაო ხასიათს, ექსპერტებმა გარკვეული ხარვეზები აღმოაჩინეს, მაგალითად ვებ-გვერდიდან ციტირებისას არ იყო ვებ-გვერდის გადამოწმების თარიღი მითითებული. რეკომენდაცია, რომელიც მოიცავს სიტყვას "გააძლიეროს", დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათთვის მისაღებია. წინააღმდეგობის განცდა არ ექმნებათ. რჩევასთან დაკავშირებით, რომელიც პროგრამის კრედიტების მოცულობის 180 კრედიტამდე გაზრდას ეხებოდა, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კანონმდებლობით ვერ ახერხებენ გაზომვას. კანონმდებლობით 3 წელი აქვთ განსაზღვრული. თავსებადი არიან შინაარსთან, თუმცა როგორც კი კვლევით კომპონენტს კრედიტებში ასახავენ წინააღმდგეობაში მოვლენ კანონმდებლობასთან და იმ პრაქტიკასთან რაც ძალიან დიდი ძალისხმევით, მათ შორის ბოლო სამი მოწვევის აკრედიტაციის საბჭომ გაზიარებულად და შეთანხმებულად დაადგინა უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. ამიტომ წარმოდგენილი დასკვნა დადებითია , რასაც წინ ერთვოდა დიდი მუშაობა ორივე მხრიდან .

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოსთან ერთად განვლილმა გამოცდილებამ ძალიან ბევრი რამ ასწავლათ და განუვითარათ. ნაკლებად პრობლემური დასკვნა გამომდინარეობს სწორედ იქიდან, რომ ბევრი რამ სახვა პროგრამების ფარგლებში გამოასწორეს .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ 180 კრედიტის განსაზღვრასთან დაკავშირებული რჩევის საკითხი. ასევე, აკადემიურ ბაზებზე წვდომასთან დაკავშირებით გაცემული რჩევის თაობაზე ითხოვა განემარტათ დოქტორანტებს რამდენად ქონდათ წვდომა აღნიშნულ ბაზებთან და რის საფუძვეზე გაიცა ეს რჩევა?

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიგა ხოსიტაშვილმა განმარტა, რომ 180 კრედიტთან დაკავშირებით რჩევა უცხოელი ექსპერტის ინიციატივით შემუშავდა. ქართველმა ექსპერტებმა აუხსნეს ქართული კანონმდებლობის ნიუანსები, თუმცა უცხოელი ექსპერტისთვის გაუგებარი იყო ეს პრინციპი, კერძოდ როგორ შეიძლება არ აისახოს კრედიტებში ის სამუშაო რასაც დოქტორანტი ახორციელებს. რაც შეეხება ბიბლიოთეკას , ექსპერტმა განმარტა, რომ შესაძლებლობა ჰქონდათ შეხვედროდნენ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, რის საფუძველზეც დაადგინეს, რომ ბაზებზე წვდომა აქვთ, თუმცა, გამოკითხულთა ნაწილმა აღნიშნა, რომ სხვა წყაროებს იყენებენ. ამიტომ ჩათვალეს, რომ თუ ამ მიმართულებით გააგრძელებს ინსტიტუცია მუშაობას მეტად ეფექტური იქნება .

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ სამეცნიერო ბაზებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს რჩევა მათთვის მისაღებია. ამ დრომდე ორი კვალიფიციური თანამშრომელი იყო გამოყოფილი, რომლებიც ყოვლედღიურ რეჟიმში ატარებდნენ სწავლებას და ტრენინგებს საუნივერსიტეტო დონეზე, მაგრამ 6 დღეა რაც უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა ყოველდღიურის ნაცვლად გადავიდა ყოველკვირეულ ტრენინგზე. რაც შეეხება ბაზებზე წვდომას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მაგალითად თუ დოქტორანტი არ ისარგებლებს შესაბამისი ბაზებით ეს აისახება მის აკადემიურ შეფასებაზე .

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა კითხვა პროგრამაზე დაშვების წინაპირობების თაობაზე გაცემულ რჩევასთან დაკავშირებით, კერძოდ რა ნიუანსები იკვეთება, რომელიც შესაძლოა გახდეს რისკ ფაქტორი სხვა პროგრამიდან გადმოსული სტუდენტებისთვის და რატომ განისაზღვრა აღნიშნული ჩანაწერი რჩევის სახით?

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ავთანდილ თავხელიძემ განმარტა, რომ საქართველოს სხვა უნივერსიტეტებში მსგავსი პროგრამა საბაკალავრო ან სამაგისტრო დონეზე არ გვხვდება. ამიტომ არის ეს რჩევად შეტანილი, რათა მეტად შემოწმდეს გასაუბრებისას სტუდენტების შესაძლებლობა. გასაუბრება უნდა იყოს მეტად მკაცრი, რადგან აქ ვინც აბარებს არც ერთ სტუდენტს მსგავსი არც საბაკალავრო და არც სამაგისტრო პროგრამა გავლილი არ აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ განსახილველი საკითხი რჩევის სახით არის მოცემული რაც დაწესებულებამ შეიძლება სულაც არ გაითვალისწინოს. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა მოსაზრების დაფიქსირება.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განმარტა, რომ მიზანშეწონილად მიიჩნიეს ჯერჯერობით რჩევის სახით დარჩენილიყო, რადგან სტუდენტს რომელიც მოდის ამ პროგრამის შესასწავლად არ აქვს ამ მიმართულებით არც საბაკალავრო და არც სამაგისტრო განათლება საქართველოს სხვა უნივერსიტეტებში მიღებული.

საბჭოს წევრი, მარინა ქავთარაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა დამაზუსტებელი კითხვა, კერძოდ, სასწავლო კომპონენტში არის თუ არა გათვალისწინებული პროფესორის ასისტენტობა და აისახება თუ არა ის კრედიტებში?

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროფესორის ასისტენტობა სასწავლო კომპონენტებში არის ასახული და მისი მოცულობა 5 კრედიტია.

საბჭოს წევრი, თამარ სირაძე მიესალმა დამსწრე საზოგადეობას და დაწესებულებას მიმართა დამაზუსტებელი შეკითხვით, კერძოდ, რატომ არ ჩათვალეს საჭიროდ კურიკულუმში ცხრილის სახით მოწოდებულ სასწავლო კომპონენტთან ერთად ჩაეშალათ კვლევითი კომპონენტის სემესტრები?

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა , რომ დისერტაციის დაცვა და მისი შეფასება ხდება ერთჯერადად სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დროს სწორედ ამიტომ არ გაწერეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ განმარტა, რომ მათ დაშვების წინაპირობაში რამდენიმე მოთხოვნა აქვთ მათ შორის მაგისტრის ხარისხი საინჟინრო, ინფორმატიკის, მათემატიკის, ფიზიკის ან მომიჯნავე სპეციალობებში. ჩარიცხვის წინაპირობად უნივერსიტეტი კვლევითი პროექტის წარდგენას ითხოვს, რაც პროფესორებს აძლევს შესაძლებლობას კანდიდატს გასაუბრებისას დააკონკრეტებინონ, რა შესაძლებლობები აქვთ და რა მიზანი კვლევითი კომპონენტის ფარგლებში. შესაბამისად, ფიქრობენ რომ ითვალისწინებენ მომიჯნავე დარგების ვალიდურ ცოდნას. პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჰქონდათ პრაქტიკა ერთ-ერთ პროგრამაზე როდესაც სემესტრების მიხედვით წარმოადგინეს კვლევითი კომპონენტის აღწერა, თუმცა ამან უფრო მეტი კითხვა დაბადა ექსპერტებში. დღეს მათ აქვთ დებულება, რომელიც კონკრეტულად ადგენს რა ეტაპების გავლით მიდის კვლევითი კომპონენტის დაწყებიდან საბოლოო დაცვამდე დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კარგად და დეტალურად აქვთ პროგრამის აღწერილობაში მითითებული კვლევითი კომპონენტის ეტაპები. რიგითობა ისე აქვთ დაცული რომ ყოველი შემდეგი წარმოადგენს წინას წინაპირობას. ასევე, მითითებულია როდიდან იწყება კვლევითი კომპონენტი. ამიტომ არ ჩათვალეს საჭიროდ ცხრილში აღენიშნათ ეს ნაწილი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამავდროულად აქვთ ინდივიდუალური კვლევითი გეგმა სამეცნიერო ხელმძღვანელთან შემუშავებული. ბევრი ვერსიით შეუძლიათ ერთი და იგივე შინაარსი წარმოადგინონ. ამ მიმართულებით პრინციპული მიდგომა არ აქვთ.

საბჭოსთავმჯდომარის მოადგილე, ნათია ზედგენიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა ბიუჯეტთან დაკავშირებით, კერძოდ, დასკვნაში მოხსენიებულია, რომ პროგრამა ფინანსური თვალსაზრისით არის მდგრადი, თუმცა წარმოდგენილია 2021 წლის ბიუჯეტი, რომელიც ამ ეტაპზე ნამდვილად არ არის ვალიდური. ასევე, წარმოდგენილია ფაკულტეტის ბიუჯეტი, რომელიც ბევრ პროგრამას აერთიანებს. კონკრეტულად სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით არ არის მოცემული თუნდაც ჯამური ცენტრალიზებული თანხები, რომელიც შეიძლება სადოქტორო პროგრამებში კვლევებსა და სამეცნიერო კონფერენციებს უკავშირდება, შესაბამისად საინტერესო იქნება ამ საკითხის დაზუსტება. ასევე, დაწესებულებას სთხოვა განემარტათ ინდივიდუალურ კვლევით გეგმასთან დაკავშირებით ფინანსური მხარდაჭერის საკითხები. წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშები პირველი წელი, მეორე წელი , მესამე წელი თუმცა გაურკვეველია თარიღი და დრო, ხელმოწერა ადევს დოკუმენტს, მაგრამ რომელ პერიოდს განეკუთვნება? ამ დოკუმენტში ძირითადად წარმოდგენილია ადმინისტრაციული, აკადემიური ხარჯები, მაგრამ კვლევით კომპონენტზე და სამეცნიერო აქტივობებზე არაფერია ნათქვამი. შესაბამისად კითხვა ეხება როგორც ექსპერტებს, ასევე ინსტიტუცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, განმარტა, რომ ამ პროგრამით ბოლო წლებში ძალიან დაინტერესდნენ დამსაქმებლები, მათ შორის მსხვილი ფირმები, რომლებიც დიდ თანხას იხდიან და უნივერსიტეტთან აქვთ მჭიდრო ურთიერობა. უნივერსიტეტს შემოსდის დიდი თანხა, შესაბამისად ფინანსური მდგრადობა ეჭვს არ იწვევს. სხვა საკითხი არის ასახულია თუ არა კონკრეტული ხარჯები ბიუჯეტში.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნათია ზედგენიძემ ითხოვა დაზუსტება, რას გულისხმობდა დამსაქმებელთა სექტორის ჩართულობა ფინანსური კუთხით?

რაზეც ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ავთანდილ თავხელიძემ აღნიშნა, რომ დასაქმება ხდება და აქვთ საერთო პროექტები.

ნათია ზედგენიძემ კითხვა დასვა ასევე მემორანდუმებსა და საერთო პროექტებთან დაკავშირებით, დაწესებულებას სთხოვა ამ საკითხის დაზუსტება.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მემორანდუმები დამსაქმებლებთან მასალებში არის წარმოდგენილი. ასევე, პროგრამის დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ პროგრამაში განსაზღვრული აქვთ მომიჯნავე დარგებიდან მაგისტრატურის კურსდამთავრებული სტუდენტების მიღება. მე-5 რჩევასთან დაკავშირებით (სასურველია მიღების წინაპირობად მინიმალური ქულის განსაზღვრა სტუ-ს სხვა ფაკულტეტების ან სხვა უნივერსიტეტების მაგისტრატურის კურსდამთავრებულებისთვის), განმარტა რომ მათ წინაპირობები გაამკაცრეს, თუ სტუდენტი აკმაყოფილებს ამ წინაპირობებს მას აქვს გასაუბრება ფაკულტეტის დორებით კომისიასთან. ეს კომისია კი საზღვრავს მის კომპეტენციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ პასუხი გასცა კითხვას ბიუჯეტთან დაკავშირებით, კერძოდ, აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ დიდი სურვილი სიტყვასიტყვით მიესადაგებინა მეცნიერების დაფინანსებასთან დაკავშირებით საკითხები, თუმცა პროფესიონალებმა აუხსნეს, რომ ეს მუხლი ეხება სახარჯ მასალებს, რეაგენტებს სპეციფიურად მხოლოდ მათი გათვალისწინება იყო შესაძლებელი ამ მუხლში. მათ ბიუჯეტში გაითვალისწინეს ხარჯი, რომელიც სხვადასხვა მუხლებში არის განაწილებული კონფერენციების ნაწილი კვლევების დაფინანსების ნაწილი და ა.შ თუმცა კომპლექსურია ამ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მიდგომა, რაც გულისხმობს იმას რომ ბიუჯეტს ზურგს უმაგრებს ძლიერი ფაკულტეტის ბიუჯეტი და თავად ფაკულტეტის ბიუჯეტს უნივერისტეტის ბიუჯეტი. როგორც დოქტორანტები, ასევე მაგისტრანტები, რეალურად პროექტებთან მიმართებით ახორციელებენ კვლევით კომპონენტებს. გარდა ამისა, აქვთ მემორანდუმები და ხელშეკრულებები. ასევე აქვთ ეროვნულ სამეცნიერო დონეზე მოქმედი გრანტები, რომლებიც ხელმისაწვდომია დოქტორანტებისთვის, მაგრამ რა თქმა უნდა არა ყველასთვის. უნივერსიტეტმა დააფუძნა განვითარების ფონდი, რომელიც კურსდამთავრებულების კეთილი ნებით უნივერსიტეტის სასარგებლოდ რესურსების აკუმულირებას ემსახურება. ყველაზე დიდი შემოწირულობა ერთ მილიონ ლარს შეადგენს .

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნათია ზედგენიძემ ითხოვა დაზუსტება საფაკულტეტო ბიუჯეტით ხდებოდა თუ არა კვლევისთვის საჭირო მასალების შეძენა? რადგან საფაკულტეტო წარმოდგენილ ბიუჯეტში სამეცნიერო ხარჯებში, სასწავლო მიზნით საჭირო საგნებისა და მასალების ველში წერია 0 თეთრი. ეს არის ფაკულტეტი, რომელშიც შედის რამდენიმე პროგრამა, მაგრამ სამეცნიერო კონფერენციებზე 15000 ლარია გათვლილი. ამ დეტალზეც ითხოვა განმარტება. ასევე, დასვა კითხვა კონკრეტულად რამდენ პროგრამას აერთიანებდა ეს ფაკულტეტი?

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ განმარტა, რომ ფაკულტეტი ინტერდისციპლინარული და მულტიპროფილურია. მასში გაერთიანებულია ბევრი პროგრამა. იტყვა-სიტყვითი გაგებით ვერ აისახებოდა ხარჯები, რადგან სპეციფიური პროგრამებისთვის და ფაკულტეტებისთვის არის ეს განსაზღვრული, მაგალითად ქიმიისთვის სადაც სახარჯო მასალა რეაგენტები გამოიყენება რატომ არის 0 თეთრი ეს შეკითხვა ადრეც გაჩენილა და ამიტომაც ჰქონდათ მეტი აქცენტი გაკეთებული. ეს არ ნიშნავს რომ მეცნიერების 0 ლარი აქვთ გამოყოფილი. რაც შეეხება 15000, ეს განსახორციელებელ აქტივობებს და წინა წლებში გავლილ გამოცდილებას ეფუძნება, თუ როგორ ფორმირდება სიპის ბიუჯეტი. პანდემიის პირობებში ძალიან ბევრი რესურსი დაიზოგა სხვადასხვა აქტივობებში იმის გამო, რომ სწავლება

ძირითადად ონლაინ იყო. აქვე, აღნიშნა რომ 15000 იმედად არ არის ფაკულტეტი, მაგალითად აპრილის შუა რიცხვებში ჩამოდის ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფი , რომელთა მხოლოდ ანაზღაურებას არ ჰყოფნის 15000 ლარი. საუბარია იმაზე რომ რიცხვები, რომლებიც წარმოდგენილია ბიუჯეტში არ არის ფიქსირებული, რაც შეეხება სხვა კუთხით ფინანსურ მდგრადობას მათ შორის ხელფასების კუთხით, პროგრამის ბიუჯეტის იმედად არ არის სტანდარტული ანაზღაურება. ფინანსური მდგრადობის კუთხით არცერთ პროგრამას პრობლემა არ აქვს .

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:58 სთ
დასრულების დრო: 13:17 სთ

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭება კლასტერის ვადით (2026 წლის 31 დეკემბერი), 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (2026 წლის 31 დეკემბერი) 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დააყენა შუამდგომლობა გადაწყვეტილების 2023 წლის 6 აპრილის თარიღით ძალაში შესვლის თაობაზე.

საბჭომ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრათ შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:

რეკომენდაციები:
1.1 დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებიდან უნდა ამოიღოს ფრაზა „ტესტ-ინჟინერინგი“. ის უნდა ჩანაცვლდეს, რაიმე მეტროლოგიასთან დაკავშირებულით;

1.2 პროგრამის განხორციელებასთან, შედეგების შეფასებასთან დაკავშირებული და სხვა დოკუმენტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე და მათზე წვდომა უნდა იყოს მარტივი, ინტერნეტის მეშვეობით, ფაკულტეტის გვერდიდან;
1.5 რეკომენდებულია სასწავლო კურსი პროფესორის ასისტენტობა შეთავაზებულ იქნეს სავალდებულო ბლოკში.

რჩევები:
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სტუ-ს სხვა ფაკულტეტიდან მოსული კანდიდატების ან სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის უნდა იყოს შეზღუდული იმ სასწავლო სფეროს ფარგლებში, რომელსაც მოცემული სადოქტორო პროგრამა მოიცავს, რათა გარანტირებული იყოს ამ კანდიდატების მიერ სადოქტორო პროგრამაზე სათანადოდ სწავლის შესაძლებლობა.
2.1 სასურველია მიღების წინაპირობად მინიმალური ქულის განსაზღვრა სტუ-ს სხვა ფაკულტეტების ან სხვა უნივერსიტეტების მაგისტრატურის კურსდამთავრებულებისთვის.
3.1 საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა ან საერთაშორისო მობილობა შეიძლება გაიზარდოს მომდევნო წლებში.
4.1 სტუ უნდა გაესაუბროს დამსაქმებლებს უნივერსიტეტისათვის ფინანსურ შემოწირულობებზე, რათა უფრო საინტერესო პირობები შესთავაზოს, ახალ, ახალგაზრდა აკადემიურ პერსონალს.

2.მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი/Control Systems, Automation and Test-Engineering
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№331102 , 06/04/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციისა და მართვის სისტემების ინჟინერიის მაგისტრი / Master of Instrumentation, automation and control systems engineering
10	ზოგადი განათლების შესაბამისი ს ა ფ ე ხ უ რ ი ს საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია/Electronics and Automation;
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. N 77, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-6 სასწავლო კორპუსი, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა მარინე მაისურაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წევრი, მიხეილ რუხაია მიესალმა დამსწრე საზოგადეობას. აღნიშნა, რომ ვიზიტმა მშვიდ და კოლეგიალურ გარემოში ჩაიარა, პროგრამა გაუმჯობესებულია . წინა შეფასებაში დაახლოებით 6 რეკომენდაცია იყო, რომლებიც გათვალიწინებულია. ახალ დასკვნაში ერთი რეკომენდაციაა მოცემული, რომელიც ფორმულირებულია შემდეგი სახით: რეკომენდებულია, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, პერიოდულად განხორციელდეს საგანამანათლებლო პროგრამის უცხოურ ანალოგებთან შედარება. სხვა რეკომენდაციები არ გაცემულა, რადგან წინა რეკომენდაციები მაღალ დონეზე იყო შესრულებული .

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა ექსპერტებს სთხოვა უფრო ვრცლად განემარტათ პირველ რჩევასთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც ფორმულირებულია შემდეგნაირად: „სასურველია ყველა სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის ციტირება იყოს გაფორმებული უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული აკადემიური სტილის დაცვით“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ როცა წინა შეფასებაზე იყვნენ ციტირების კუთხით პრობლემები ჰქონდათ . რაც გაუმჯობესებულია , მაგრამ ახლი ვიზიტისას რამდენიმე ადგილას მაინც შეხვდათ პრობლემები, ამიტომ დაწერეს რჩევაში. ამ კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯი აქვს დაწესებულებას, მაგრამ არა სრულყოფილი.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა რჩევასთან დაკავშირებით, რომელიც ფორმულირებულია შემდეგი სახით : „სასურველია დაიხვეწოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები“, დასვა დამაზუსტებელი კითხვა, კერძოდ აღნიშნული მიმართულებით დაწესებულებას ჰქონდა თუ არა შემუშავებული კონკრეტული მექანიზმები?

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიგა ხოსიტაშვილმა განმარტა, რომ მათ ნახეს გამოკითხვის ფორმები, ეს ფორმა კი სტუდენტების შეფასებასაც მოიცავს . სტუდენტ ექსპერტს გაუჩნდა მოსაზრება, რომ შეიძლება შინაარსობრივი შეკითხვების დამატება ამიტომ გაჩნდა რჩევის სახით ჩანაწერი .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია მისაღებია მათთვის, არა იმიტომ რომ გამოწვევა პრობლების კუთხით უდგათ, არამედ ეს გამოწვევა არის შესაძლებლობის კუთხით. აკეთებენ დადარებას უცხოურ პროგრამებთან, აქვთ პირდაპირი თანამშრომლობა მათ შორის ამ პროგრამის განმახორციელებლებთან. საქართველოში ანალოგი არ არის, ამიტომ ამ კუთხით თანამშრომლობაზე შეზღუდულნი არიან. აღნიშნა, რომ დაახლოებით წელიწად ნახევრის წინ ლაბორატორია დააფუძნეს ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და სამართლის, ფაკულტეტზე ხორციელდება ამ ლაბორატორიის საქმიანობა ტრენინგებით და მხარდამჭერი ღონისძიებებით. ისინი სამეცნიერო ხელმძღვანელების შეფასებას არ ახდენენ მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტების გამოკითხვით. კითხვარი წარმოდგენილი იყო უფრო კომპლექსური შეფასების ნაწილში, სადაც ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელობაც განიხილებოდა. გარდა ამისა ფაკულტეტზე არსებობს კომისია, რომელიც ფაკულტეტის დონეზე კომპლექსურად აფასებს პროგრამას მათ შორის სამეცნიერო ხელმძღვანელობის საკითხს. ასევე, ცენტრალურ ხარისხში საუნივერსიტეტო დონეზე ყველა ფაკულტეტიდან ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება, რაც წლიურ ანგარიშშიც აისახება. ყველა რჩევა რჩევის სტატუსით მისაღებია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა თამარ სირაძემ, დასვა კითხვა სადოქტორო პროგრამის სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, როდესაც სადოქტორო პროგრამის სახელწოდების ცვლილებაზე იმუშავეს ხომ არ შეიტანენ იგივე ცვლილებას სამაგისტრო პროგრამაზე?

დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა რომ ეს უცხოელი ექსპერტის მოსაზრება იყო სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით. სამაგისტრო პროგრამაში კი უცხოელი ექსპერტი აღარ მონაწილეობდა, შესაბამისად აქ არ აისახა . თუმცა, ეს არის ერთი ხაზი სამივე საფეხურის, როგორც პროფესორთა და მკვლევართა გუნდი გადაწყვიტავს შესაბამისად აისახება სახელწოდებაზე. ან შესაძლოა არ ჩაითვალოს მიზანშეწონილად, რადგან აქ პრაქტიკული

კურსი მეტი აქვთ. კლასტერს როგორც ჰორიზონტალურად ასევე ვერტიკალშიც აფასებენ. ამიტომ პირველი, მეორე და მესამე საფეხური ლოგიკურ კავშირში იქნება სახელწოდებასთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 13:28 სთ
დასრულების დრო: 13:29 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭება კლასტერის ვადით (2026 წლის 31 დეკემბერი).

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით (2026 წლის 31 დეკემბერი).

დაწესებულების წარმომადგენელმა, დააყენა შუამდგომლობა გადაწყვეტილების 2023 წლის 6 აპრილის თარიღით ძალაში შესვლის თაობაზე.

საბჭომ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრათ შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:

რეკომენდაცია:
5.3 რეკომენდებულია, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, პერიოდულად განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის უცხოურ ანალოგებთან შედარება.

რჩევები:
1.2 სასურველია ყველა სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის ციტირება იყოს გაფორმებული უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული აკადემიური სტილი დაცვით.
2.2 ამაღლდეს ცნობადობა ინტელექტუალური საკუთრებისა და მისი დაცვის მექანიზმის მიმართ.
2.4 სასურველია სტუდენტების მაქსიმალური ინფორმირება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის დაცვასა და შესრულებაზე.

3.1 სასურველია სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვის უზრუნველყოფის და მხარდაჭერის გაძლიერება.
3.2სასურველია დაიხვეწოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები.
4.4 სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა ჯგუფმა ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით დაგეგმოს ღონისძიებები, რომ გაძლიერდეს სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის არსებული პრაქტიკა.
4.4 სასურველია უნივერსიტეტმა შეიძინოს პროგრამა MATLAB-ის ლიცენზირებული ვერსია ან MATLAB-online ლიცენზია.

3.მესამე საკითხი: შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში "პოლიტიკის მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერება/Political Science
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებულ რეჟიმში
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№1214796 , 21/12/2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი / Bachelor of Political Science
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები / Political Sciences and Civics;
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ვეფხისტყაოსნის ქუჩა, N92, თბილისი, 0159, საქართველო

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ შესაფასებელი პროგრამა ახალია და გარკვეული მონაცემების რეალურად განხილვა ფაქტობრივად არ შეეძლოთ. თავისი პრაქტიკიდან გამომდინარე იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ყველა სტანდარტი გავიდა სრულ შესაბამისობაში. მიუხედავად ამისა აქვთ კონკრეტული რეკომენდაციები. რეკომენდაციების უმრავლესობა სტრუქტურასთან არის დაკავშირებული. პირველი რეკომენდაცია შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: „რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას სავალდებულო არჩევითი კომპონენტი, გაიზარდოს არჩევითი სასწავლო კურსების საკრედიტო მოცულობა და გამრავალფეროვნდეს არჩევანის შესაძლებლობა პოლიტიკის მეცნიერებასთან დაკავშირებული ახალი სასწავლო კურსების დამატებით და/ან ზოგიერთი ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსის შეცვლით, რომელიც შეისწავლის საერთაშორისო ურთიერთობებთან/საერთაშორისო პოლიტიკასთან და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს.“ გარდა ამისა პროგრამა არის სხვადასხვა სასწავლო ქვედარგებით შედგენილი, ის არის მულტისდიციპლინური, რაც თავისთავად დადებითი მახასიათებელია წარმოდგენილი კვალიფიკაციის პროგრამისთვის, თუმცა რეკომენდაციამ შემდეგი სახე მიიღო: რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურაში საერთაშორისო ურთიერთობების სიმულაცია ჩანაცვლდეს პოლიტიკის სიმულაციით, პროგრამის სტრუქტურის, პროგრამის სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობისთვის. ასევე, რეკომენდაცია გაიცა წინაპირობებთან დაკავშირებითაც. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ ეკონომიკური ბლოკის საგნები ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენს, თუმცა წინაპირობებში ეს არ იყო ასახული. აღნიშნულ რეკომენდაციებზე, რომელიც სტრუქტურას ეხება, უნივერსიტეტს არ ჰქონია არგუმენტირებულ პოზიციაში რაიმე საწინააღმდეგო. უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია ეფუძნებოდა ორ რეკომენდაციას , ორივე გაცემული იყო მე-4 სტანდარტში. ერთი ეხებოდა პორტალის ცვლილებას, მეორე კი, ბიბლიოთეკაში სავალდებულო ან მატერიალურ რესურსებს. პორტალთან დაკავშირებით ვიზიტის დროსვე გაჟღერდა, რომ უნივერსიტეტს გადაწყვეტილი

აქვს ცვლილებები და აპირებს ახალი პორტალის შეძენას, თუმცა ეს იყო სიტყვიერი, ამიტომ აისახა რეკომენდაციაში . არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს კი დაწესებულებამ გამოაგზავნა მტკიცებულებები, რაც გაითვალისწინეს და აღნიშნული რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში. რაც შეეხება სასწავლო მასალას, ექსპერტის განმარტებით, რეკომენდაცია დატოვეს უცვლელი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით გასაგებია უნივერსიტეტის ლოგიკა, რომ მათ არ ჰყვათ ჯერ ზედა კურსები და ამ წიგნების შეძენა მოხდება ეტაპობრივად. გარკვეული ხელშკრულებები შეძენაზე უკვე გაფორმებულია, თუმცა აკრედიტაციის პროცესში დაწესებულებას სთხოვენ სრული კურიკულუმის რუკა იყოს წინსწრებით დაცული .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ანა გვრიტიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამსახურისთვის . რაც შეხება არგუმენტირებულ პოზიციას აღნიშნა, რომ ძირითადი აქცენტი გააკეთეს ფაქტობრივ უზუსტობებზე, ამიტომ აღარ შევიდნენ შინაარსობრივ ნაწილში. განმარტა, რომ პროგრამა შემუშავებულია ბუკინგემის უნივერსიტეტთან თანამშორმლობით და ვალიდირებულია მათ მიერ რაც გულისხმობს, რომ ვალიდაციის პროცესში მოხდა ბუკინგემის მხრიდან შინაარსობრივი ნაწილის შესწავლა, ასევე მათ მიერ დაქირავებული იყო დარგის ექსპერტი რომელმაც ძალიან დეტალურად შეისწავლა პროგრამის სტრუქტურა ცალკეული სილაბუსები, შინაარსი და ლიტერატურა ამის მერე კი გაიცა ვალიდური დასკვნა, რაც წარმოდგენილი იყო ექსპერტებთან .

უნივერსიტეტის წარმომადგენელი, ლაშა მარკოზაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადეობას, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის. რაც შეეხება რეკომენდაციას, რომელიც ეხება სასწავლო კურსში სავალდებულო სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობას ბიბლიოთეკაში განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს მათ სრულად წარუდგინეს ექსპერტებს პირველი ორი წლის ლიტერატურა, რომელიც ამ პროგრამაში ისწავლება. გარდა ამისა, წარდგენილი იყო შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები. დანარჩენი ლიტერატურისთვის ეტაპობრივი შესყიდვა განხორციელდება ერთი მარტივი მიზეზის გამო, ბუკინგემის უნივერსიტეტი ყოველწლიურად თვითონ აკეთებს ლიტერატურის განახლებას , შესაბამისად თუ სადმე არსებობს ახალი გამოცემა ამ ახალ გამოცემებს ავტომატურად ყიდულობენ. ასე მოხდა შარშან და ასე მოხდება მომავალ წელსაც. აქედან გამომდინარე, ოთხი წლის თავზე არის ძალიან მაღალი ალბათობა, იმისა რომ ახლი გამოცემები ჰქონდეთ. აქედან გამომდინარე არ იჩქარეს პირველ კურსზე დაეხვედრებინათ სტუდენტებისთვის მე-4 კურსის სახელმძღვანელო. მითუმეტეს მაშინ, როდესაც შესყიდვის ხელშეკრულებები უკვე აქვთ. რაც შეეხება რეკომენდაციების შინაარსობრივ ნაწილს, მიუხედავად იმისა რომ არგუმენტირებული პასუხი არ გაუციათ, პრინციპულად არ იზიარებენ ამ რეკომენდაციებს რამდენიმე მიზეზის გამო. მათი აზრით, ეს არის სწავლების ფილოსოფიური ნაწილი მათ ექნებათ მეტი სასწავლო არჩევითი კურსი თუ ნაკლები აქცენტი გაკეთებული. პროგრამა ფოკუსირებულია სწავლის შედეგებზე, მაქსიმალურ აქცენტს აკეთებენ იმ საგნებზე, რომლებიც გადის პროგრამის სწავლის შედეგებზე, აქედან გამომდინარე შეზღუდულია არჩევითი კომპონენტი, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ სტუდენტებს მრავალაფეროვანი არჩევანის საშუალებას არ აძლევენ. ყველა სტუდენტი რომელიც ბუკინგემის მიერ ვალიდირებულ პროგრამას გადის, აუცილებლად გადის ექსტრაკურიკულურ კურსებს, ისევე როგორც სტაჟირებას პრაქტიკას და ა.შ. მაგალითად, აკადემიური თავისუფლების ნაწილში ურჩევნიათ სტუდენტები ვაშინგტონში გაგზავნონ და იქ მიიღონ გამოცდილება, ვიდრე ისეთი კურსები დაუნიშნონ, რომლებიც სწავლის შედეგებზე პირდაპირ არ გადის. კურიკულუმი საკმაოდ დატვირთულია, საგნებიც საკმაოდ მაღალ კრედიტიანია. რჩევნიათ, სტუდენტმა ისწავლოს და მიიღოს ის უნარ-ჩვევები რაც დარგის სპეციალისტებს სჭირდებათ. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა საერთაშორისო

ურთიერთობებზე და მის სიძლიერეზე. პოლიტიკური ურთიერთობები ეს არის ქოლგა ბევრი ქვედარგისთვის მათ შორის ერთ-ერთი არის საერთაშორისო ურთიერთობები. ცალკე ისწავლება საერთაშორისო ურთიერთობები, შესაბამისად შეცდომით დამკვიდრდა მიდგომა, რომ საერთაშორისო ურთიერთობები განსხვავდება პოლიტიკური მეცნიერებისგან. საერთაშორისო ურთიერთობები არის ერთ-ერთი ქვედარგი პოლიტიკის მეცნიერების. შიდა პოლიტიკა არის კიდევ ცალკე მიმართულება. რადგან საერთაშორისო ურთიერთობა არის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ნაწილი პოლიტიკის მეცნიერების, მიზანშეწონილად ჩათვალეს განსაკუთრებული სიძლიერით წარმოედგინათ საერთაშორისო ურთიერთობები ამ პროგრამაში. აქედან გამომდინარე არის როგორც საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, ასევე სხვადასხვა ქვეყნის საგარეო პოლიტიკები და სიმულაციები, რომელებიც ეძღვნება საქართველოს პოლიტიკას, პრაქტიკულ პოლიტიკას და ა.შ. საერთაშორისო ურთიერთობების სიმულაცია ყველა იმ უნარს უვითარებს სტუდენტს, რომელიც ამ ტიპის სავარჯიშოს შედეგად უნდა გამოიმუშაოს. ამიტომ, არ მიაჩნიათ სწორად აღნიშნულის ცვლილება. მათი განმარტებით, ისეთი პატარა ქვეყნისთვის როგორც საქართველოა, ამ კომპონენტის გაძლიერება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. რაც შეეხება წინაპირობებს დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ნაწილობრივ ეთანხმებიან რეკომენდაციას და გაითვალისწინებენ. მაგრამ აქ იყო კიდევ სხვა საგნების ჩამონათვალი მაგალითად ევროკავშირი კონფლიქტი და სტაბილურობა ევროპაში , სადაც ექსპერტებს უწერიათ, რომ კარგი იქნება თუ ევროკავშირი იქნება მეორე საგნის წინაპირობა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სილაბუსების გაცნობის შედეგად მარტივად აღსაქმელია, რომ ამ ერთ საგანს მეორესთან არანაირი კავშირი არ აქვს. რადგან ევროკავშირის საგანში ისწავლება ევროკავშირი, როგორც ორგანიზაცია და მისი ინსტიტუტები, ხოლო კონფლიქტში და სტაბილურობაში ისწავლება ევროპაში მიმდინარე ოთხმოცდაათიანების კონფლიქტები და მათი დარეგულირების სხვადასხვა ფორმა .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, გურანდა ჭელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა დამაზუსტებელი შეკითხვები. კერძოდ, პროგრამაში არის დასაქმების და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები მოცემული, თუმცა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებზე პროგრამაში არაფერია ნათქვამი, მაგრამ სხვა დოკუმენტებში თვითშეფასებაში დასკვნაში ვკითხულობთ რომ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა არსებობს და შესაბამისად ბუკინგემის უნივერსიტეტის წარმომადგენელი ხშირად სტუმრობს უნივერისტეტს სწავლის გაგრძელების პერსპექტივით, ითხოვა ამ საკითხის დაზუსტება. აქვე, საბჭოს წევრმა ითხოვა დამატებითი განმარტებები წარმოედგინათ ექსპერტებსა და დაწესებულებას საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსების, ინგლისურენოვან სილაბუსებთან შესაბამისობის შესახებ. ასევე, დაინტერესდა რამდენად თვლიან, რომ 20 კრედიტი სჭირდება საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას? მისი თქმით ვერსად ნახა ის მოთხოვნები, რომლებიც სტუდენტმა უნდა გაითვალისწინოს საბაკალავრო ნაშრომის მომზადების დროს. გარდა ამისა, ყველა სილაბუსში სტანდარტულად ნახსენებია, რომ სტუდენტს შეუძლია შუალედური და დასკვნითი გამოცდის გასაჩივრება, სტანდარტული რუბრიკა რჩება საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსშიც. აბჭოს წევრმა ითხოვა დაზუსტება, აჯარო დაცვაზე გასვლამდე სტუდენტი ფასდებოდა თუ დაცვაზე ხდებოდა მისი შეფასება და ითხოვა განმარტება, საერთო რუბრიკა საბაკალავრო ნაშრომის შეფასებასაც ეხებოდა თუ არა. ასევე დასვა კითხვა, საბაკალავრო ნაშრომში კვლევითი კომპონენტის დაცვასთან დაკავშირებით, კერძოდ, როგორ ფიქრობენ საბაკალავრო პროგრამაზე არის საბაკალავრო ნაშრომი კვლევითი კომპონენტი? როგორ მოიაზრებენ სტაჟირების პროცეს და რჩევა რომელიც არის წარმოდგენილი ექსპერტების დასკვნაში ინფორმაციის და ლიტერატურის მუდმივად განახლებასთან მიმართებით, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე რამდენად არის ლიტერატურის განახლების საჭიროება?

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლაშა მარკოზაშვილმა განმარტა, რომ ლიტერატურა ყოველთვის განახლებას საჭიროებს, ამიტომაც ახსენა ყოველწლიური განახლება. სწორედ ეს იყო მიზეზი, თუ რატომ არ იყიდეს 4 წლის ლიტერატურა ერთბაშად. მისი თქმით, ბუკინგემში წასვლის შესაძლებლობა მათ ყველა სტუდენტს აქვს, ეს შესაძლებელია პირველი წლის შემდეგ, როდესაც მათ ექნებათ სერთიფიკატის მიღების შესაძლებლობა . ასევე შეუძლიათ წავიდნენ ორი წლის შემდეგ , იქ გაიარონ 1 წელი და გააგრძელონ იქვე სწავლა. ყველა სტუდენტს, რომელიც მათთან ირიცხება ჰყავს ინდივიდუალური მენტორი. მისი ფუნქციაა აკადემიურად დაეხმაროს ყველა სტუდენტს. ჰქონდათ რამდენიმე შემთხევა, როცა სტუდენტს გაუჭირდა მათემატიკა , დაუნიშნეს დამატებითი ტუტორი იმისთვის რომ პროგრამას დაწეოდა. გარდა ამისა, არიან სტუდენტები რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული ინტერესი, მათ შორის უნდათ საჯარო საუბრის უკეთ სწავლა შესაბამისად დაუნიშნეს მენტორი ამ მიმართულებთ. მათთან აუდიტორიებში 12 ბავშვზე მეტი არასდროს არ ხვდება, ეს არის ის მოდელი რომელსაც იყენებენ. პროგრამაზე შეზღუდული რაოდენობით აცხადებენ მიღებას. 450 სტუდენტია ჯამში რაც უნდა მიიღონ. შესაბამისად, თითო პროგრამაზე აუცილებლად ექნებათ იმის შესაძლებლობა, რომ სტუდენტს ყავდეს ინდივიდუალური მენტორი. მართალია სტაჟირების კრედიტები პროგრამაში არ არის, მაგრამ მათი ხედვაა ყველა სტუდენტმა გაიაროს სტაჟირება რაღაცა პერიოდით. ფიქრობენ რომ ეს იქნება ზაფხულში. გაფორმებული აქვთ ძალიან ბევრი მემორანდუმი, მაგალითად პოლიტიკის მეცნიერების მხრივ, ყველა დიდი დამსაქმებელი არის მათი პარტნიორი. დღესვე შეუძლიათ სტუდენტები გაუშვან სტაჟირებაზე, მაგრამ მათი ხედვით პირველ კურსზე ეს ადრეა. სტაჟირების შესაძლებლობები ასევე აქვთ ბრიუსელში, ვაშინგტონში რომელიც უშუალოდ არჩევნების და ადვოკატირების პროცესებში ჩართავს სტუდენტებს. რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომს, ეს არ არის დიდი კვლევითი ნაშრომი, რომელიც გულისხმობს დამოუკიდებელი კვლევის კეთებას, თუმცა მათ კვლევებში და საერთაშორისო კვლევებშიც ყველგან ჩანს რომ პოლიტიკის მეცნიერების კურსდამთავრებულებს სთხოვენ კარგ კვლევით უნარებს, რაც დიდი მოთხოვნაა ბაზარზე. მათი ბრიტანელი პარტნიორებისა და მათი ხედვაა, რომ საბაკალავრო ნაშრომი იყოს რეალური შემაჯამებელი იმ ცოდნისა რა ცოდნასაც იღებენ. ილაბუსებში გამოყოფილია დამოუკიდებელი სამუშაოები ესე, მემო და ა.შ. რომელსაც სჭირდება კვლევითი უნარები. დაწესებულების ამბიციაა, როდესაც შემაჯამებელი ნაშრომის წერაზე გადავლენ სტუდენტები, მათ ჰქონდეთ შესაბამისი ხელსაწყოები იმისთვის რომ პროფესორის დახმარებით მოახერხონ მეტ-ნაკლებად სრულყოფილი კვლევის გაკეთება. რაც შეეხება თარგმანს, არის ალბათობა, რომ უზუსტობები იყოს. პროგრამა ინგლისურენოვანია და შესაძლოა ტერმინოლოგიებში გარკვეული აცდენა იყოს, რასაც გაასწორებენ.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა არჩევით კომპონენტთან დაკავშირებით. მისი თქმით აღნიშნული საკითხი ბუნდოვანია მისთვის. როგორც ცნობილია სტუდენტებს ფართო არჩევანი აქვთ სტაჟირებებთან დაკავშირებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთ დასვა კითხვა ვინ აფინანსებს მას? სასწავლო კურსი ემსახურება კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას , სილაბუსებში მკაფიოდ წერია რომ ნებისმიერი წერითი დავალება სასწავლო კურსებში მოწმდება პლაგიატის პროგრამაში. დაინტერესდა დაწესებულებას რამდენად აქვს რესურსი რომ ყველა ნაშრომი გაატაროს ანტიპლაგიატის პროგრამაზე?

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, ხდება ყველას შემოწმება ანტიპლაგიატის პროგრამაზე. სხვანაირად წარმოუდგენლად მიაჩნია აკადემიური დაწესებულების ფუნქციონირება. რაც შეეხება სტაჟირებას, საქართველოში უფასოა, ბიზნესის სტუდენტები რომლებიც სტაჟირებას გადიან ისინი ანაზღაურებად სტაჟირებაზეც არიან. რაც შეეხება საზღვარგარეთ სტაჟირება შეთანხმება ისეთია რომ ნაწილი სტაჟირება დაფინასდება ნაწილი – არა. აღნიშნული დამოკიდებულია კრიტერიუმებზე, რომლებიც უნდა დააკმაყოფილონ სტუდენტებმა, თუმცა სურვილის შესაბამისად ყველას ექნება შესაძლებლობა გაიაროს .

საბჭოს წევრი, ერმილე მესხია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, სილაბუსებში მოცემულ მიზანთან დაკავშირებით. კერძოდ, გაწერილია სამი მიზანი ერთ-ერთი არის მოამზადოს სტუდენტები უმაღლესი განათლების მოთხოვნებისთვის. როგორ ფიქრობენ ერთი საგნისთვის მიზნის ამგვარად ფორმულირება ზოგადი ხომ არ არის? ამ საგანში საკმაოდ ვრცელი სწავლის შედეგები აქვთ ჩამოწერილი. მე-11 შედეგთან დაკავშირებით სადაც წერია სტუდენტი სწავლობს დამოუკიდებლად, როგორ აიდენტიფიცირებენ, რომ მართლაც დამოუკიდებლად სწავლობს?

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლაშა მარკოზაშვილმა განმარტა, რომ ინგლისური ფორმულირება არ ახსოვს , შესაძლოა თარგმანის პრობლემაა . რაც შეეხება თვითონ საგანს ეს არის ბრიტანელი პარტნიორების მიერ გაკეთებული საგანი . ცდილობენ რომ სტუდენტებს, რომლებიც სკოლიდან მოდიან, სკოლის გარემოდან მიაჩვიონ საუნივერსიტეტო გარემოში ყოფნას. ბოლოში იგულისხმებოდა რომ სტუდენტი ეჩვევა დამოუკიდებლად მუშაობას. ცდილობენ ასევე პასუხისმგებლობის უნარი განუვითარონ და სხვადასხვა ტიპის დავლებებით საუნივერსიტეტო გარემოს შეაჩვიონ . ამ საგანს თვითონაც კითხულობდა, და მიაჩნია რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანია რათა გზა გაუხსნან საუნივერსიტეტო სივრცეში სტუდენტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა კითხვა მემორანდუმებთან დაკავშირებით, კერძოდ აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით მემორანდუმებში სავალდებულო ხასიათს ატარებს რაოდენობების მითითება. რამდენად არის აღნიშნული მოთხოვნა შესრულებული.

რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა რომ რაოდენობები წერია ყველა ხელშეკრულებაში. პროგრამა არ მოიცავს პრაქტიკის კომპონენტს, კრედიტი არ ენიჭება პრაქტიკის კომპონენტში შესაბამისად ამ პროგრამისთვის იმიტომ არ არის დაწესებული რაოდენობა რომ ეს არის გარე აქტივობა სტუდენტისთვის . თუმცა სხვა პროგრამაზე მაგალითად ბიზნესზე აქვთ კრედიტი .

14:00 საათზე სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი, ნინო ჭალაგანიძე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:10 სთ
დასრულების დრო: 14:26 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში "პოლიტიკის მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის კლასტერის ვადით (2028 წლის 31 დეკემბერი) მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5

მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27[6]მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში "პოლიტიკის მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (2028 წლის 31 დეკემბერი).

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა გვრიტიშვილმა დააყენა შუამდგომლობა გადაწყვეტილების 2023 წლის 6 აპრილის თარიღით ძალაში შესვლის თაობაზე.

საბჭომ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრათ შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:

რეკომენდაცია:
4.4 რეკომენდებულია, თითოეული სასწავლო კურსის სავალდებულო სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ბიბლიოთეკაში.

რჩევა:
1.1 სასურველია, მოხდეს მიზნების პირველი ნაწილის რეფორმულირება პროგრამის მიზნების უფრო ნათლად ჩამოყალიბებისათვის;
1.1 სასურველია, პროგრამის მიზნებში დასაქმების ბაზარი დაკონკრეტდეს როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზარი;
1.5 უსაფრთხოება“, საგარეო პოლიტიკის შემსწავლელი სხვადასხვა სასწავლო კურსები და სხვ.), სავალდებულო ან დამატებითლიტერატურაში მიეთითოს ოფიციალური ვებგვერდები და სხვა განახლებადი ინტერნეტ რესურსები.
1.5 სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა წარმოდგენილ იქნას ერთზე მეტი მასალით;
1.5 სასურველია, სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“ სათაურად შერჩეულ იქნას საერთაშორისო ურთიერთობები ან საერთაშორისო პოლიტიკა;
1.5 სასურველია, სასწავლო კურსის „დიპლომატიის ისტორია“ შინაარსში გათვალისწინებულ იქნას ციფრული დიპლომატია;
1.5 სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის მიზნებსა და მთლიან სილაბუსში გადაიხედოს და რეფორმულირდეს კვლევასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია სწავლების საფეხურთან შესაბამისობისთვის, სილაბუსის ქართულენოვანი თარგმანი წარმოდგენილ იქნას ტექნიკური ხარვეზების გარეშე;
2.4 სასურველია, სტუდენტთა წახალისების მიზნით, ლექცია-სემინარებზე აქტიურობისთვის შემუშავდეს შეფასების დამატებითი სქემა;
2.4 სასურველია, მაქსიმალურად გაკონტროლდეს სტუდენტთა საბოლოო შეფასების ეტაპები და დადგენილ ვადებში აისახოს შესაბამისი ქულა ბაზაში;
3.1 .სასურველია, კიდევ უფრო გააქტიურდეს საერთაშორისო თანამშრომლობა და გამრავალფეროვნდეს გაცვლითი პროგრამები;
3.1 სასურველია, უნივერსიტეტთაშორისი ხასიათი მიიღოს სტუდენტურმა კონფერენციებმა;
4.3 სასურველია, უსდ-ს მიერ უზრუნველყოფილ იქნას არსებული ელექტრონული პორტალის ეფექტური მუშაობა ან ახალი ელექტრონული პორტალის შექმნა სტუდენტებსა და პროგრამაში ჩართულ პერსონალს შორის უწყვეტი კომუნიკაციისთვის.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე დააყენა შუამდგომლობები, კერძოდ:

პირველი შუამდგომლობა: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 14 თებერვლის N174649 გადაწყვეტილების დანართ N1 ში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად ნაცვლად 2024 წლის 31 დეკემბრისა, მიეთითოს 2030 წლის 7 თებერვალი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
ომხრე: 15
ოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 14 თებერვლის N174649 გადაწყვეტილების დანართ N1 ში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად ნაცვლად 2024 წლის 31 დეკემბრისა, მიეთითოს 2030 წლის 7 თებერვალი.

მეორე შუამდგომლობა: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 14 თებერვლის N174710 - ე გადაწყვეტილების დანართ N1 ში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად ნაცვლად 2024 წლის 31 დეკემბრისა, მიეთითოს 2030 წლის 7 თებერვალი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 15
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის

საბჭოს 2023 წლის 14 თებერვლის N174710 - ე გადაწყვეტილების დანართ N1 ში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად ნაცვლად 2024 წლის 31 დეკემბრისა, მიეთითოს 2030 წლის 7 თებერვალი.

მესამე შუამდგომლობა: სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 14 თებერვლის N174746 გადაწყვეტილების დანართ N1 -ში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად ნაცვლად 2024 წლის 31 დეკემბრისა, მიეთითოს 2030 წლის 7 თებერვალი.

აბჭოს წევრმა ნინო ღაღანიძემ განაცხადა თვითაცილება. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 14
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 14 თებერვლის N174746 გადაწყვეტილების დანართ N1 -ში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი კერძოდ აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად ნაცვლად 2024 წლის 31 დეკემბრისა, მიეთითოს 2030 წლის 7 თებერვალი.

მეოთხე შუამდგომლობა: სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 14 თებერვლის N 174752 გადაწყვეტილების დანართ N1-ში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად ნაცვლად 2024 წლის 31 დეკემბრისა, მიეთითოს 2030 წლის 7 თებერვალი.

აბჭოს წევრმა ნინო ღაღანიძემ განაცხადა თვითაცილება. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 14
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 14 თებერვლის N 174752 გადაწყვეტილების დანართ N1-ში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად ნაცვლად 2024 წლის 31 დეკემბრისა, მიეთითოს 2030 წლის 7 თებერვალი.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 14:56 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი